საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის 2018 წელს გაწეული საქმიანობის ამსახველი შემაჯამებელი ანგარიში

თბილისი

2019 წელი

საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექცია უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში აწარმოებს გამოძიებას და საპროცესო ხელმძღვანელობას სისხლის სამართლის საქმეებზე, სადაც იკვეთება პროკურატურის თანამშრომელთა მხრიდან დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტი. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ გენერალურ ინსპექციას, შემდგომი გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით, როგორც წესი, გადაეცემა ის სისხლის სამართლის საქმეები, სადაც დანაშაულის ჩადენა ხდება პროკურატურის მუშაკის სახელის გამოყენებით. აღნიშნულის მიზანია, თავად გენერალური ინსპექციის მიერ დეტალურად იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული ნებისმიერი გარემოება და პროკურატურის თანამშრომლის მონაწილეობის ხარისხი, თუნდაც, თაღლითური გზით პროკურატურის თანამშრომლის სახელის გამოყენების შემთხვევაში.

გენერალური ინსპექციის დებულების შესაბამისად, საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექცია საპროცესო ხელმძღვანელობას ასევე უწევს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის გამომძიებლების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც ეხება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის მოსამსახურის, მათ შორის, კერძო აღმასრულებლის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე, 333-ე, 335-ე, 337-ე–342-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის შემთხვევებს.

გარდა ზემოთ მითითებულისა, საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში ტარდება სამსახურებრივი შემოწმებები დისციპლინური გადაცდომის ფაქტებზე, კერძოდ:

პროკურატურის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევის, პროკურატურის მუშაკისათვის შეუფერებელი საქციელის ჩადენის ანდა კანონით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გენერალური ინსპექცია ატარებს სამსახურებრივ შემოწმებას. სამსახურებრივი შემოწმების საფუძველი შეიძლება იყოს ცნობები პროკურატურის მუშაკის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის ან დისციპლინური გადაცდომის შესახებ, მათ შორის, სასამართლოს (მოსამართლის) კერძო განჩინებები, გენერალური პროკურორის ცალკეული დავალებები; პროკურატურის „ცხელი ხაზით“ შემოსული შეტყობინებები, გენერალური ინსპექციის საქმიანობის პროცესში გამორკვეული ფაქტები, მიღებული შეტყობინებები, გეგმიური შემოწმების გრაფიკი; ადმინისტრაციული ორგანოებიდან მიღებული შეტყობინებები და მასალები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოქვეყნებული ინფორმაცია, მოქალაქეთა წერილობითი საჩივრები.

სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს გენერალური ინსპექციის უფროსი, თუმცა გენერალური ინსპექციის თანამშრომელი ატარებს სრული მოცულობით სამსახურებრივ შემოწმებას, ადგენს სამსახურებრივი შემოწმების თაობაზე

დასკვნას, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს გენერალური ინსპექციის უფროსი. დასკვნაში ასახულია იმ დისციპლინური გადაცდომის ფაქტობრივი გარემოებები, რომელზეც ხდება სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება. არის შემთხვევები, როდესაც იწყება სამსახურებრივი შემოწმება, ყოველმხრივ და ამომწურავად ხდება საკითხის შესწავლა, თუმცა დისციპლინური გადაცდომა არ იკვეთება. ასეთ შემთხვევაში სამსახურებრივი შემოწმება უნდა შეწყდეს. გენერალური ინსპექციის დასკვნა სამსახურებრივი შემოწმების შეწყვეტის შესახებ უნდა შეთანხმდეს გენერალურ პროკურორთან.

სამსახურებრივი შემოწმების თაობაზე შედგენილ დასკვნას, გენერალური ინსპექციის უფროსი მოხსენებითი ბარათით წარუდგენს საქართველოს გენერალურ პროკურორს, რომელიც თავის მხრივ განსახილველად და შემდგომი რეკომენდაციის მიღების მიზნით აღნიშნულ დასკვნას გადასცემს კოლეგიურ ორგანოს - საბჭოს. ხმათა უმრავლესობით მიღებული რეკომენდაცია წარედგინება საქართველოს გენერალურ პროკურორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. საქართველოს გენერალური პროკურორის გადაწყვეტილება - ბრძანება დისციპლინური სახდელის გამოყენების თაობაზე საჩივრდება სასამართლოში.

აღსანიშნავია, რომ გენერალური ინსპექციის თანამშრომელთა მხრიდან სისტემატურად ხდება ამავე დანაყოფში შემოსული საჩივარ/განცხადებების და მასში ასახული ინფორმაციის განხილვა, რა დროსაც, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ხდება პროკურატურის დანაყოფების საზედამხედველო წარმოებაში არსებული საქმეების შესწავლა. შემოწმებით გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით, გენერალური ინსპექციის მიერ მუშავდება და სათანადო ადრესატებს ეგზავნებათ მითითებები და რეკომენდაციები. აღნიშნულ დოკუმენტებში დეტალურად აღიწერება გამოვლენილი ხარვეზები და ასევე მიეთითება კონკრეტული სახის რეკომენდაციები, რათა სამომავლოდ თავიდან იქნეს აცილებული ხარვეზების არსებობა და მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი დისციპლინური გადაცდომები.

2018 წლის განმავლობაში გენერალურ ინსპექციაში დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებით ჩატარებულია **66 სამსახურებრივი შემოწმება** პროკურატურის **112 თანამშრომლის მიმართ.**

ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად გამოკვეთილი დისციპლინური გადაცდომების გათვალისწინებით:

- პროკურატურის სისტემიდან **დათხოვნილი იქნა** 2 თანამშრომელი;

- 4 თანამშრომელი, სამსახურებრივი შემოწმების პროცესში, **პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა** პროკურატურის სისტემიდან;

- **საყვედური** გამოეცხადა 2 თანამშრომელს;

- **შენიშვნა** გამოეცხადა 3 თანამშრომელს;

- სამსახურებრივი შემოწმების დროს აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, **რეკომენდაციით მიემართა** 23 თანამშრომელს;

- შემოწმებით **არ დადასტურდა** თანამშრომლების მიერ გადაცდომის 23 ფაქტი, ხოლო 3 შემთხვევაში ფაქტის ჩადენიდან გასული იყო სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა და ამ საფუძვლით შეწყდა სამსახურებრივი შემოწმება;

- ამჟამად, გენერალურ პროკურორთან წარდგენილია და **განხილვაშია** სამსახურებრივი შემოწმების დასკვნები 32 თანამშრომლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების თაობაზე, საიდანაც:

- 13 პირის მიმართ მოთხოვნილია დისციპლინური სახდელის სახედ „საყვედურის“ გამოყენება;
- 9 პირის მიმართ მოთხოვნილია დისციპლინური სახდელის სახედ „შენიშვნის“ გამოყენება;
- 4 პირის მიმართ მოთხოვნილია დისციპლინური სახდელის სახედ „პროკურატურიდან დათხოვნის“ გამოყენება;

გარდა ზემოთ მითითებულისა, 2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდში საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში გამოძიება დაიწყო 18 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო შემდგომი გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით, ქვემდებარეობით გადმოიგზავნა სისხლის სამართლის 4 საქმე. გენერალური ინსპექციიდან სხვა დანაყოფში გადაიგზავნა 3 სისხლის სამართლის საქმე.

გენერალური ინსპექციის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის 4 საქმეზე ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული იქნა 4 პირი: 1 პროკურორი - საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით; 1 პირი - დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინა პროკურატურის მუშაკის სახელით - საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტებით; 1 თარჯიმანი - საქართველოს სსკ-ის 19,180-ე მუხლის პირველი ნაწილით და 362-ე მუხლის პირველი ნაწილით; 1 მოქალაქე - პროკურატურის თანამშრომლის მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამო - საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით;

გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 4 საქმეზე 4 პირის მიმართ. მათ შორის: ერთი პროკურორის მიმართ - საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდი - თბილისის საქალაქო სასამართლო); ერთი პირის მიმართ (პროკურატურის თანამშრომლის

სახელით ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტზე) - საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის ,,ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (თბილისის საქალაქო სასამართლო); ერთი პირის მიმართ (პროკურატურის თანამშრომლის სახელით ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტზე) - საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (თბილისის სააპელაციო სასამართლო); ერთი პირის მიმართ (პროკურატურის თანამშრომლის მიმართ ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტზე) - საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით (თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოები).

საანგარიშო პერიოდში გენერალურ ინსპექციაში შეწყდა გამოძიება 6 სისხლის სამართლის საქმეზე. აქედან, 5 შემთხვევაში საქართველოს სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, ხოლო 1 შემთხვევაში - საქართველოს სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით.

გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის ,,ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექცია ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე საპროცესო ხელმძღვანელობას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, საანგარიშო პერიოდში, გამოძიება დაიწყო 1 სისხლის სამართლის საქმეზე; ქვემდებარეობით შემოვიდა 2 სისხლის სამართლის საქმე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ, საქართველოს სსკ-ის 341-ე მუხლით.

გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 27 პირის მიმართ (19 სისხლის სამართლის საქმე). მათ შორის, თბილისის საქალაქო სასამართლოში - 25 პირის მიმართ (23 მოქალაქე, მათ შორის: 16 პირი - სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 362-ე მუხლის პირველი ნაწილით; 7 პირი - 362-ე მუხლის პირველი ნაწილით; 1 ნოტარიუსი - სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით, არქივის თანამშრომელი - სისხლის სამართლის კოდექსის 341-ე მუხლით); თბილისის სააპელაციო სასამართლოში - საჯარო რეესტრის 1 თანამშრომლის მიმართ (სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით); საქართველოს უზენაეს სასამართლოში - 1 ნოტარიუსის მიმართ (სისხლის სამართლის კოდექსის 341-ე მუხლით და 342-ე მუხლის პირველი ნაწილით);

არსებითი განხილვისას 1 პირის (სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და 362-ე მუხლის პირველი ნაწილით) მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, პირის გარდაცვალების საფუძვლით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ, გამოტანილი იქნა 1 გამამართლებელი განაჩენი 1 ნოტარიუსის მიმართ სსკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით.

დღეის მდგომარეობით გენერალური ინსპექციის პროკურორთა მიერ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერით სასამართლოში არსებითი განხილვა მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმეებზე 10 პირის მიმართ. აქედან, თბილისის საქალაქო სასამართლოში 1 პირის მიმართ, სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (პროკურატურის თანამშრომლის სახელით ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტზე); თბილისის სააპელაციო სასამართლოში - 9 მოქალაქის მიმართ: 1 პირის მიმართ, სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 362- ე მუხლის პირველი ნაწილით; 7 პირის მიმართ - 362-ე მუხლის პირველი ნაწილით; 1 პირის მიმართ (პროკურატურის თანამშრომლის სახელით ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტზე), სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

აღსანიშნავია, რომ გენერალურ ინსპექციაში შემუშავდა და დაიწერა პროკურატურის მუშაკთა ახალი ეთიკის კოდექსი, რომელიც დამტკიცდა იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. აღნიშნული კოდექსი წინა ეთიკის კოდექსთან შედარებით გაცილებით გამჭვირვალეა - პროკურატურის თანამშრომელთათვის უკვე ადვილად განჭვრეტადია თუ რა არის დისციპლინური გადაცდომა და რა სახის დისციპლინური სახდელი გამოიყენება კონკრეტულ შემთხვევაში. გარდა ამისა, კოდექსში გაიწერა და დარეგულირდა ის საკითხები, რომლებიც დღეს, თანამედროვე პროკურატურისთვის და მისი თანამშრომლებისთვის არის ახალი გამოწვევა, რომლის აქტუალურობის საკითხი დღის წესრიგში არ იდგა 2006 წელს, როდესაც მიღებული იქნა წინა ეთიკის კოდექსი.

ეთიკის კოდექსის განახლებული ვერსიის შემუშავების მიზანი იყო, მასში, ერთი მხრივ, თავმოყრილი ყოფილიყო პროკურატურის თანამშრომელთა მიმართ დაწესებული კანონისმიერი მოთხოვნები და, მეორე მხრივ, მაქსიმალურად მომხდარიყო პროკურატურის თანამშრომელთა უფლებების დაცვა. ეთიკის კოდექსში დაყოფილია დისციპლინური გადაცდომები სიმძიმის ხარისხის მიხედვით და აკონკრეტებს მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებს ამა თუ იმ დისციპლინური დარღვევის შემთხვევაში, რაც იმას ნიშნავს, რომ პროკურატურის თანამშრომლისთვის განჭვრეტადია მის მიერ ჩადენილ კონკრეტულ გადაცდომას რა შედეგი შეიძლება მოყვეს.

რა თქმა უნდა, ახალი ეთიკის კოდექსის ამოქმედების მთავარი მიზანია პროკურატურის მუშაკის მიერ განხორციელებული ქმედებები კიდევ უფრო მეტად მოექცეს ეთიკის ჩარჩოებში, რაც ცალსახად ხელს შეუწყობს საზოგადოების მხრიდან საჯარო მოხელის მიმართ გამოცხადებული ნდობის როგორც განმტკიცებას, ასევე - მის ამაღლებას.

ჯერ კიდევ მის ამოქმედებამდე, ეთიკის კოდექსის პროექტი მოწონებული იქნა როგორც საქართველოში მოქმედი არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს იუსტიციის დეპარტამენტის და ევროკავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტის ექსპერტების მიერ. ამასთან

ერთად აღსანიშანვია, რომ ეთიკის კოდექსის პროექტი გაეცნოთ პროკურატურის მუშაკებს და მათი რიგი დასაბუთებული მოსაზრებები გაზიარებული იქნა კოდექსის საბოლოო ვერსიაში.

ახალი ეთიკის კოდექსის ამოქმედების შემდეგ, 2018 წელს პროკურატურის 245 თანამშრომელი, გენერალური ინსპექციის ტრენერი თანამშრომლების მიერ ჩატარებული ტრენინგების ფარგლებში, გაეცნო დოკუმენტის შინაარსს და საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში არსებული პრაქტიკული მაგალითების ილუსტრაციის მეშვეობით მოხდა თითოეული სამართლებრივი დათქმის შინაარსის განმარტება.

საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ახალი ეთიკის კოდექსის ამოქმედებიდან ერთ წელზე მეტი დროის გასვლის შემდეგ, გენერალურ ინსპექციაში არსებული პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა უკვე ეთიკის კოდექსის თითოეული მუხლის კომენტირება, რაც თავისი არსით ეთიკის კოდექსის ნორმატიული შინაარსის უკეთ გაგებას უზრუნველყოფს.

გენერალური ინსპექცია დაკისრებული ამოცანების განხორციელებისას, მონიტორინგს უწევს გენერალური პროკურატურის ,,ცხელი ხაზის“ ფუნქციონირებას. 2018 წელს ცხელ ხაზზე დატოვებული იქნა 1 062 შეტყობინება (ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე პირის მიერ გაკეთებულია მსგავსი შინაარსის შეტყობინება). თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგენთ საილუსტრაციო ცხრილებს „ცხელ ხაზზე“ შემოსული შეტყობინებების თემატიკისა და დანაყოფების მიხედვით.

მოქალაქეთა მიერ განხორციელებული შეტყობინებები თემატიკის მიხედვით



„ცხელ ხაზზე“ 2018 წელს შემოსული შეტყობინებები (გენერალური პროკურატურის, თბილისის პროკურატურის და ოლქების მითითებით):



გენერალურ ინსპექციაში შემოსული საჩივარ-განცხადებების და „ცხელ ხაზზე“ მიღებული შეტყობინებების ანალიზი ცხადყოფს, რომ მიღებული საჩივრების დიდი ნაწილი შეეხება საქმეზე გამოძიებისა და განცხადებების განხილვის გაჭიანურების ფაქტებს, ასევე პროკურატურის თანამშრომელთან კომუნიკაციის პრობლემას. აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, გენერალური ინსპექციის მხრიდან ინტენსიურად ხორციელდება ქმედითი ღონისძიებები. კერძოდ: დანაყოფში შემოსულ საჩივარ/განცხადების ირგვლივ ხდება ინფორმაციის მოძიება, საქმეების შესწავლა და სათანადო მითითების მიცემა საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელი პროკურორისთვის.

გენერალური ინსპექციის ინიციატივით, 2018 წელს, მთავარ პროკურატურაში შეიქმნა მრჩევლებისგან და სპეციალისტებისგან დაკომპლექტებული სპეციალური ჯგუფი, რომელიც პროკურატურის „ცხელი ხაზის“ 24 საათიან რეჟიმში ეფექტიან ფუნქციონირებას

უზრუნველყოფენ და მიღებულ ინფორმაციას შემდგომი რეაგირებისათვის აწვდიან გენერალურ ინსპექციას.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექცია ყოველდღიურ რეჟიმში ახდენს მასზე კანონით დაკისრებული, საგამოძიებო/საპროცესო თუ დისციპლინური წარმოების განხორცილების ფუნქციის შესრულებას, რაც თავისი არსით პირდაპირ დაკავშირებულია პროკურატურის სისტემაში არსებული ხარვეზების გამოვლენის და მისი აღმოფხვრის უზუნველყოფასთან.

საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის საქმიანობის მთავარი მიზანია გამოვლენილი და აღმოფხვრილი იქნას პროკურატურის სისტემაში არსებული პრობლემური საკითხები, რაც ერთი მხრივ, ხელს უწყობს პროკურატურის როგორც სახელმწიფო უწყების გამართულად და შეუფერხებლად ფუნქციონირებას, მეორე მხრივ, - საზოგადოებაში სისტემის მიმართ ნდობის ამაღლებას.